საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის

მეურნეობის მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ქ. ჭიათურაში შპს „მგტ"-ის მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს წარმადობის გაზრდის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო, კანონით დადგენილ განახლებულ/ჩასწორებულ დოკუმენტაციას (შენიშვნა მიღებული იქნა სამინისტროს N 2730/01; 22/03/2021 წერილით).

ამასთან, მოგახსენებთ, რომ დაგეგმილ საქმიანობას გავლილი აქვს სკოპინგის პროცედურა (2019 წლის, 25 ნოემბრის სკოპინგის დასკვნა N123). განახლებულ დოკუმენტაციაში გათვალისწინებული და წარმოდგენილია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მწვანე ალტერნატივას მიერ გამოთქმულ შენიშვნებზე პასუხები.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი განახლებული დოკუმენტაცია და შესაძლებლობის შემთხვევაში შპს „მგტ"-ის სახელზე გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

წერილს თან ერთვის:

1. გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (სანებართვო მოსაკრებლის მიმღები სახაზინო კოდი: 300773080);
2. დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში-1 ეგზემპლარი ნაბეჭდი და ელ. ვერსია;
3. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის სიტუაციური გეგმა (მანძილების მითითებით);
4. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი- 3 ეგზემპლარი;
5. გზშ-ის ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე -1 ეგზემპლარი;
6. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „მგტ"-ის რეგისტრაციის თაობაზე;
7. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საწარმოს მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთის კუთვნილების თაობაზე;
8. დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია და საწარმოს განთავსების ტერიტორიის გეოგრაფიული კოორდინატები GIS -ის სისტემაში.

პატივისცემით,

შპს „მგტ"-ის დირექტორი

დავით ჩიხლაძე

№ 7406
26.04.2021
02